ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 82

2016 წლის 23 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბის, ჰიმნის და დროშის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს 80 წლის საიუბილეო ღონისძიების შედეგად გამოცემული მასალების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის თანდართული ტექსტი და მელოდია (დანართი 1);**
2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის** გერბი **(დანართი 2);**
3. ბსუ-ს დროშაზე დატანილი იქნეს ბსუ-ს თანდართული გერბი (დანართი 2);
4. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე;
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გერბის, ჰიმნის და დროშის დამტკიცების შესახებ
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის
№82 დადგენილების
დანართი 1

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიმნის ტექსტი - პოეტ
დავით თედორაძის ლექსი
სიმღერა რუსთაველის უნივერსიტეტზე

რუსთაველი მადლი გამკობს,
რუსთაველის ხიბლით თბები,
შენი სუნთქვით ვიკვებები,
შენს ემბაზში ვინათლები,
მენატრება შენთან ყოფნის წუთები...

დღეს სულ სხვაა ბათუმიც და ზღვისპირეთიც,
ახალს ვეტრფით, განა წარსულს მივტირით,
მოდით, ნახეთ, რის დარია,
მშვენდება და მიხარია,
ბათუმია საქართველოს ქვითკირი.

სულს სწყურია სილაღე და ალერსი,
მზე ჩაუწნავთ გოგო-ბიჭებს თვალებში,
მოფარფატე თოლიებო,
ქათქათა მაგნოლიებო,
მინდა თქვენი მოფერება ამ ლექსით.
კვლავ გიმღერი უფლის მადლით დალოცვილს,
შენს ბუნებას ვეღარავინ გამოცვლის,
სულს მიმშვენებ კელაპტრებით,
მიყვარხარ და მენატრები,
ტაძარში ხარ მუდამ ჩემი სალოცი.

ჰიმნის მუსიკის ავტორი ბათუმელი კომპოზიტორი ანა ქასრაშვილი (ვალენსიაში ბერკლის მუსიკალური კოლეჯის მაგისტრი)



„საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გერბის, ჰიმნის და დროშის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის
№82 დადგენილების
დანართი 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი შეიქმნა 2006 წელს. გერბის ესკიზის ავტორია ბათუმელი მხატვარი დავით სერგია (შპს „ელბი სტუდიო“). ლურჯ ფარზე გამოსახულია თოლია და დაფნის რტო. ფარი დაგვირგვინებულია შოთა რუსთაველის გამოსახულებით. ფარის ზედა კიდეებში განთავსებულია ვაზის რტოები, მარცხენა ზედა კიდეში საქართველოს, ხოლო მარჯვენა კიდეში - აჭარის ა/რ-ის დროშის გამოსახულებები. ფარის გვერდებზე ვერტიკალურად თეთრი კოლონადებია გამოსახული, ხოლო ქვედა კიდეებში - დელფინები. ფარის ქვემოთ, ბაფთის ველზე წარწერილია: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“